290 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წლიწადი მეორე

ფასი 1 მან. სამშაბათი, 23 დეკემბერი 1919 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონ. ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

შიო მღვიმელი და გიორგი ქუჩიშვილი აუწყებენ ნაცნობ მეგობრებს საყვარელი მეგობრის

## ვანო საათაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება ფასანაურის შესახვევიდან, № 3, ქვაშვეთის ეკლესიაში დღეს, 23 დეკემბერს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

## კანტორიდან.

### მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ“ 1920 წლისთვის

გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. მეოთხე გვერდზე 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 80 მანეთი.

1 იანვრიდან გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.

კერძო პირთაგან განცხადებანი ნისიათ არ მიიღება.

რედაქციის კანტორის მისამართი: ქ. ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელ. 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

**ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.**

დღეს, 23 დეკემბერს ორიგინალური ქართული კომიკური ოპერა ვიქტორ დოლიძისა

### ქეთო და კოტე

მონაწილეობენ: კალანდაძე-აგასოვა, ერმოლინსკაია, შელუდკოვსკაია, ოვსიანიკოვა, როგაჩევსკი, თარხან მოურავი, ისეცკი, ქურხული, კურბატოვი. ოთხშაბათს, დეკემბრის 24-ს ნინო კოშიცის გასტროლი. „ევგენი ონეგინი“. ხუთშაბათს, დეკ. 25-ს ქართული ოპერა დ. არაყიშვილისა. „თქმულება შოთა რუსთაველზე. პარასკევს, დეკემბრის 26-ს ნინო კოშიცის გასტროლი „ვერტერი“. 22 დეკემბრისთვის აღებული ბილეთები გამოდგება 26-სთვის.

**ტფილისის ქალაქის პირველ საავადმყოფოსათვის (არამიანცის და ზუბ. სახელობის საავადმყოფოები)**

## საჭიროა ზედამხედველი

და მისი თანაშემწე, რომლებსაც უნდა ქონდეთ შესაფერი გამოცდილება და ცოდნა არა ნაკლებ საშუალო განათლებისა. პირობების გასაგებათ უნდა მიმართონ ქალაქის გამგეობის მდივანს. 434 1—1

**ოფიციალური განყოფილება.**

## დეკრეტი

**სასამართლო უწყების დაწესებულებათა შტატების შემცირებისა, ჯამაგირის მომატებისა და ზოგიერთ სხვა ცვლილებისა.**

1. გაუქმდეს ტფილისის ოლქის სასამართლოს მეორე სამოქალაქო განყოფილება.

2. ყველა გაურჩეველი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმე, რომელიც სწარმოებს ტფილისისა, ქუთაისის და სოხუმის საოლქო სასამართლოებში, როგორც სასამართლოს მეორე ინსტანციებში, გადაეცეს განსახილველად მომრიგებელ მოსამართლეთა სათანადო ყრილობებს.

3. გაუქმდეს სამოქალაქო სამართლის წარმოების წესდების მე-1468-1472 და სისხლის სამართლის მე 1267-1270 მუხლები.

4. ტფილისის სასამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე იწოდებოდეს ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ, ხოლო იმავე პალატის დეპარტამენტის თავმჯდომარე—პალატის თავმჯდომარის ამხანაგად.

5. სასამართლო დაწესებულებათა დებულების მე-119, 251, 251[1], 410, 411, 414 და 419 მუხლებში და ნოტარიული ნაწილის დებულების მე-16 მუხლში სიტყვა „უფროსი“ ამოშლილ იქნეს.

6. იუსტიციის სამინისტროს კანცელარიისა, ტფილისის სასამართლო პალატისა, ტფილისისა, ქუთაისისა და სოხუმის საოლქო სასამართლოების და უბნის გამომძიებლების აწინდელი შტატების ნაცვლად, შემოღებულ იქნეს ამ დეკრეტთან დართული ახალი შტატები.

7. დაენიშნოს ამა წლის ნოემბრის 1-დან გადიდებული ჯამაგირი, როგორც ამ დეკრეტის წინა (6) მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა, ისე სენატის კანცელარიის და საკოდიფიკაციო განყოფილების, სამომრიგებლო სასამართლოს, საპროკურორო და საგამომძიებლო ნაწილის თანამდებობის პირთ, კანცელარიის მოხელეთ და დაბალ მოსამსახურეებს, და აგრეთვე გადიდდეს საკანცელარიო, სამეურნეო და სხვა ხარჯი ამ დეკრეტთან დართულ შტატების თანახმად.

8. ამ დეკრეტით გამოწვეულ ზედმეტ ხარჯის დასაფარავად გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებაში, არსებულ კრედიტების დასამატებლად ამა წლის ნოემბრისათვის ორი მილიონი ხუთას ორმოცდა ხუთმეტი ათას ორმოცდა ხუთი (2.555,045) მანეთი, დეკემბრის 1-დან, ყოველთვიურად, სამი მილიონი ექვსას ორმოცდა ცხრამეტი ათას ოცი (3.659.020) მანეთი, ხოლო ამ საბიუჯეტო წლის ბოლომდე ოცდა ხუთი მილიონი ექვსას ცამეტი ათას ას ორმოცი (25.613.140) მანეთი.

9. შტატების შემცირებისა გამო სასამართლო დაწესებულებიდან დათხოვნილ პირთ სალიკვიდაციო დახმარება მიეცეს ამა წლის ნოემბრის 1-მდე არსებულ ჯამაგირის მიხედვით.

10. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 9.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## კანონი.

**აწ მოქმედ თამასუქის წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა და გაუქმებისა.**

1. რუსეთის აწ მოქმედ თამასუქის წესდებაში, რომელიც 1902 წლის მაისის 27-ს არის დამტკიცებული, შემდეგი ცვლილება შეტანილ იქნეს:

ა) მე-2 მუხლში დატოვებულ იქნეს მხოლოდ შემდეგი: „ვალდებულება, როგორც მარტივის, ისე შეპირებულის თამასუქით შეუძლიან იკისროს ყველამ, ვისაც კანონით ნება დართული აქვს სავალო ხელშეკრულებათა დადება“. დანარჩენი ნაწილი ამ მუხლისა, რაც ამ ზოგადი წესის გამონაკლისს შეადგენს, ამოიშალოს.

ბ) მე 3 მუხლის მეორე პუნქტში და მე 86 მუხ. მეორე პუნქტში სიტყვები „რუსულ ენაზედ“ შეიცვალოს სიტყვებად „ქართულ ენაზედ“;

გ) მე-82 და 83 მუხ. სიტყვები „იმპერიის საზღვართა შორის“. შეიცვალოს სიტყვებათ „საქართველოს რესპუბლიკის საზღვართა შორის.“

დ) მე 83 მუხ. სიტყვები „რუსეთის ქვეშევრდომს“ შეიცვალოს სიტყვებად „საქართველოს ქვეშევრდომს“, და

ე) მე-85 მუხ. სრულიად გაუქმდეს და იმავე მუხლის ხსენება ამოიშალოს მე 126 მუხ.

1919 წ. დეკემბრის 13-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

**ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

**ნ. ჟორდანია.**

## დეკრეტი

**გზათა დეპარტამენტისათვის 88.425 მ. და 89 კაპ. კრედიტის გახსნისა მთავარ საავტომობილო სახელოსნოს გასაფართოებლად გაწეული ხარჯის დასაფარავად.**

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან გზათა დეპარტამენტის განკარგულებაში ოთხმოცდა რვა ათას ოთხას ოცდა ხუთი მან. და 89 კაპ. (88.425 მან. 89 კაპ.) სამეურნეო-საამშენებლო კომისიის მიერ მთავარ საავტომობილო სახელოსნოების გასაფართოებლად გაწეული ხარჯის დასაფარავად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 13-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

**ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

**ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი

**მთავრობის საქმეთა სამმართველოსი.**

2 დეკემბერი, 1919 წ. № 26.

საველე პავლეს ძე ქედევდარიანი დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მმართველობის რეგისტრატორად ამა წლის 1 დეკემბრიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი

**ქ. ჯაფარიძე.**

—

**სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.**

28 ნოემბერი, 1919 წ., № 93.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან ტფ. ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ. ა. ლემლეინი 1919 წლის 22 სექტემბრიდან.

განათლების მინისტრის ამხანაგი

**ნ. ცინცაძე.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

18 დეკემბერი, 1919 წ. № 309.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის დეკემბრის 4-ს დადგენილების თანახმად დაინიშნა: სუდლეცკის ოლქის სასამართლოს პროკურორის ყოფილი ამხანაგი ლევ ივანეს ძე კარჩევსკი სოხუმის საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ამა წლის დეკემბრის 4 დან.

18 დეკემბერი, 1919 წ. № 310.

**იგზავნება:** სოხუმის საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი მიხეილ პორფირეს ძე მელიანიცკი სოხუმის ოლქის სასასამართლოს პროკურორის ამხანაგის მოვალეობის დროებით აღმასრულებლად თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის დეკემბრის 4-დან.

18 დეკემბერი, 1919 წ. № 311.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის დეკემბრის 4-ს დადგენილების თანახმად დაინიშნა: შულავერის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი მიხეილ პორფირეს ძე მელიანიცკი სოხუმის საგანგებო სასამართლოს პროკურორის ამხანაგად ამა წლის დეკემბრის 4-დან.

17 დეკემბერი, 1919 წ. № 312.

**განთავისუფლებულია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: თანხმად თხოვნისა, ლაგოდეხის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი ალფრედ ედიურდის ძე გროპიუსი ამა წლის დეკემბრის 17-დან.

იუსტიციის მინისტრის დირექტორი

**გ. ჟორდანია.**

**არა ოფიციალური განყოფილება**

## მთავრობაში

**13 დეკემბრის სხდომა.**

დაესწრნენ: მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია; მინისტრები—ბ-ნნი რამიშვილი, კანდელაკი, ხომერიკი, გეგეჭკორი; სახელმწიფო კონტროლიორი ბ-ნი გოგიჩაიშვილი; მინისტრთა ამხანაგები—ბ ნნი ჭავჭანიძე, ჰიჰინაძე, ბახტაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე, ავალიანი; დეპარტამენტის დირექტორები—ბ ნი ჰიჰინაძე, ჟორდანია; საქმეთა მმართველი—ქ. ჯაფარიძე; მდივანი დ. ლომთაძე.

**სასამართლოს წევრის დანიშვნა**

სოხუმის ოლქის სამომრიგებლო მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე დაინიშნოს სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრად.

**უარი შუამდგომლობაზე სასჯელის პატიების შესახებ.**

უარი ეთქვას თხოვნაზე ჯარისკაც ნიკოლოზ ჯანოზაშვილს მეხუთე ქვეითი პოლკთან არსებულ საგანგებო სასამართლოს ამა წლის აპრილის 30-ის დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

—

უარი ეთქვას თხოვნაზე ვასილ ვარძელაშვილს ტფილისის ოლქის სასამართლოს ამა წლის მაისის 28-ის დადგენილებით გადაწყვეტილ სასჯელის პატიების შესახებ.

## შინაგან საქ. სამინისტროში.

**ყაჩაღის შეპყრობა.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშით აუწყებენ ოზურგეთიდან, რომ 17 დეკემბერს სროლის შემდეგ იქ მილიციას შეუპყრია ყაჩაღი ეფრემ ლავრენტის ძე გიორგიძე.

**მთა-ოსეთის განიარაღება.**

ცხინვალიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ მთა-ოსეთის განიარაღება გრძელდება. ჯავის საზოგადოების მცხოვრებთა უმეტესმა ნაწილმა იარაღი უკვე ჩააბარა, დანარჩენებიც განაგრძობენ იარაღის ჩაბარებას. ახალი სალდათოები უკვე გაიგზავნენ გორში. ბოროტი პირები, რომელნიც არევ-დარევას იწვევდენ და გამოსვლებს აწყობდენ ოსეთში, მიიმალენ ტყეებში.

**ვას. ციციშვილის შესახებ.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ, წინააღმდეგ ზოგიერთ გაზეთში მოთავსებულ ცნობებისა, ვასილ ციციშვილი გორის მაზრის მილიციის უფროსის თანაშემწეთ არ

არის და არც რაიმე სამსახურში ითვლება გორის მაზრის კომისართან.

### ჩოხატაურის გზის შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მოხსენებით შედის მთავრობაში ოზურგეთის მაზრის შუამდგომლობის შესახებ, რომ მთავრობამ ხსენებულ ერობას 700,000 მან. მისცეს დახმარების სახით ჩოხატაურის გზის შესაკეთებლათ, ვინაიდან ამ გზას დიდი კულტურული და სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გზის შესაკეთებლათ გამოყვანილ იქნებიან თვით მცხოვრებნი

### ლტოლვილთა გაძარცვა.

ლაგოდეხიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ 9 დეკემბერს ლაგოდეხიდან 2 ვერსის მანძილზე სოფ. კობახჩელიდან (აზერბეიჯანი) გადმოსულმა ყაჩაღებმა გაცარცვეს და გახადეს ტანისამოსი ზაქათალიდან სომხეთში მიმავალ სომეხ-ლტოლვილებს. მოკლულია ერთი ლტოლვილი, დაჭრილია ერთი ქალი. ჩვენმა გვარდიელებმა დროზე მოუსწრეს და დანარჩენები გადაარჩინეს. სროლის დროს მოკლულ იქნა ცნობილი ყაჩაღი აზერბეიჯანელი ჩაფარი. ყაჩაღები სულ 50 კაცამდე იყო, სახე გამურული ქონდათ და ცდილობდენ ქართულათ ელაპარაკნათ. ერთ ლტოლვილ ქალს ნამუსი ახადეს.

ყაჩაღებს წაუღიათ სულ 500.000 მანეთამდე „ნიკოლოზის“ ფულებით და ამიერ-კავკასიის ბონებით. მიღებულ ცნობებით, კობახჩელში ამ ყაჩაღთაგან რამოდენიმე კაცი შეუპყრიათ.

### ცნობილ ყაჩაღის შეპყრობა.

ოზურგეთის მილიციას შეუპყრია ცნობილი ყაჩაღი გრიგ. ივან. ძე სიხარულიძე, რომელიც მონაწილეობას იღებდა მატარებლის გაცარცვაში და უკანასკნელ ბოლშევიკურ გამოსვლების დროს ბრბოს ხელმძღვანელობდა.

## იუსტიციის სამინისტროში

### სასამართლოს მოღვაწეთა ყრილობა.

იანვრის 5-სთვის იუსტიციის სამინისტროში მოწვეულია სასამართლოს მოღვაწეთა ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სასამართლო დაწესებულებათა უფროსები ქ. ტფილისიდან და პროვინციებიდან. ყრილობის მიზანია გამოარკვიოს სასამართლოს დაწესებულებათა საჭიროებანი და შეიმუშაოს მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა სასამართლო დაწესებულებათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

### იურიდიული ლექსიკონი.

რუსულ ქართულ ლექსიკონის მეხუთე ფორმა დაიბეჭდა—ასო „პ“-მდე. რადგან ლექსიკონის ბეჭვდა სასურველის სისწრაფით არა სწარმოებს და მისი მოთხოვნილება კი დიდია, იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა განკარგულება იქმნას გაცემული იმის შესახებ, რომ ლექსიკონი იბეჭდებოდეს რიგს გარეშე შესაძლებელის სისწრაფით.

### კამერების დათვალიერება.

ხუთშაბათს, დეკემბრის 18-ს, იუსტიციის დეპარტამენტის მმართველმა მ. თ. ჟორდანიამ დაათვალიერა ქ. ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა და გამომძიებელთა კამერები.

### სტატისტიკურ ცნობების შეკრება.

იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა სასამართლო უწყების ყველა დაწესებულებას წარმოდგენა სტატისტიკურის ცნობებისა, რომლებიც ეგზავნებოდა რუსეთის იუსტიციის სამინისტროს და დღიდან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დაარსებისა აღარავის ეგზავნება.

### გემ. „მარიას“ გაძარცვის საქმე.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის დეკემბრის 16-ის დადგენილების აღსასრულებლათ იუსტიციის სამინისტრომ განკარგულება გასცა, რათა გემ. „მარიას“ გაძარცვის საქმე გადაეცეს გასარჩევად ქუთაისის საგანგებო სასამართლოს და გარჩევა დანიშნულ იქნას უახლოვეს დღეებში.

## მომარაგების სამინისტროში

### სია იმ საქონელთა, რომელთა საზღვარ გარეთ გასაზიდათ არავითარი ნებართვა არ არის საჭირო.

მომარაგების სამინისტრო აცხადებს, რომ ქვემო ჩამოთვლილ საქონლის უცხოეთში გასაზიდათ არავითარი ნებართვის აღება საჭირო არ არის:

1) მოცვის ჩაი ტომრებით და შეკრული, 2) ადგილობრივი ყავა (სოიასგან), 3) გლაუბერის მარილი, 4) დამარილებული თევზი, 5) ხიზილალა, 6) თევზი სელდი, 7) ტომატი (პიური), 8) შაბი 9) დაფნა, 10) გამხმარი ხილი, 11) შავი ხურმა, 12) მზესუმზირა, 13) ფორთოხალი და მანდარინა 14) შავი პილპილი, 15) სელტერის წყალი, 16) აგური, 17) კრამიტი, 18) ბორჯომის ქარხნის ჭურჭელი, 19) წიფლის კასრები (ბოჭკები), 20) ადგილობრივ დამზადებული ოდეკალონი, 21) ვექეტალი, 22) ფეხსაცმელის წასასმელი, 23) ყოველგვარი ადგილობრივი ნედლი ხილი, 24) „საქენცები“ და „დიჩკები“, 25) მწვანე წნილად ჩადებული კიტრი, 26) ბორჯომის წყალი, 27) ქვანახშირის ნაგავი, 28) ინფუზორიტი (კაზელგური), 29) ჩვეულებრივი კირი, 30) ბარიტი, 31) ადგილობრივი წარმოების ცეცხლის მიუკარებელი აგური, 32) ცოცხები და ადგილობრივ დამზადებული ნამჯის თოფრები, 33) ხის ყუთები და საქონლის ჩასაწყობი წნული კალათები, 34) ნედლი თევზი, 35) ნუში და წაბლი, 36) დარიჩინი, მიხაკი, ილი და სხვ., 37) პაპიროსის ქაღალდი, 38) გილზები, 38) ხელოვნური ყინული, 40) მაზუთი, 41) დაწმენდილი ნავთი, 42) მანქანის ზეთი, 43) საცილინდრე ზეთი, 44) ვისკოზინი, 45) ტოტი, 46) ნავთის დანარჩენი (საპნის სუროგატი), 47) ხლორიანი კირი, 48) ცეცხლის მიუკარებელი თიხა.

## ქალაქის თვითმართველობაში.

### შემოსავალ-გასავლის ანგარიში.

ქალაქის თვითმართველობას ათი თვის განმავლობაში 1 იანვრიდან 30 ოქტომბრამდე შემოსავალი ჰქონია: სასანიტარო გადასახადისაგან 26,307,829 მან. 43 კ., წარმოებისაგან —32,157,160 მან. და 32 კ., რომელშიც სანიტარული გადასახადი არის 11,372,831 მან. და 64 კ., სხვა და სხვა გადასახადი 47,092,158 მან. 11 კ., მთავრობისაგან დახმარება მილიციის შესანახად 15,090,278 მანეთი სულ 73,555,267 მან. 75 კ.

ამ ხნის განმავლობაში გასავალი ხარჯები ყოფილა 70,122,536 მ. 41 კ.

### ქალაქის თვით. დაწ. გაეროვნება.

კვირას, 21 დეკემბერს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ქალაქის თავის ბ. ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ქალაქის გამგეობისა და თვითმართველობის ყველა განყოფილების გამგეების, რომლის მიზანი იყო გამორკვევა საკითხისა თვითმართველობაში სახელმწიფო ენაზე საქმის წარმოების შესახებ. დადგენილ იქნა გამგეობას სამი დღის განმავლობაში განყოფილების გამგეებმა წარმოუდგინონ დასაბუთებული მოხსენება თუ სად არ შეიძლება ნაციონალიზაციის გატარება. კრებაზე გამოირკვა და დადგენილ იქნა, რომ ზოგიერთ განყოფილებებში შეუძლებელია ნაციონალიზაციის გატარება. ასეთია მაგ. შრომისა და სტატისტიკური განყოფილება, რომლებშიაც მხოლოდ მიწერ-მოწერა იქნება ქართულ ენაზე.

—

გამგეობის უკანასკნელი დადგენილებანი: რადგან ქალაქის საავათმყოფოს ზედამხედველ ელიავას აღმოაჩნდა რამოდენიმე ასი მანეთი და ანგარიშების დამამტკიცებელი საბუთი არა—დაკმაყოფილებულ იქნას მისი თხოვნა და მიეცეს წინადადება საფინანსო განყოფილებას გამოჰყოს მოანგარიშენი საავათმყოფოს გაუმართლებელ საბუთების შესაგროებლად.

—

გაიგზავნოს საგანგებო კომისია მიხეილის ქუჩაზე № 59 შენობის დასათვალიერებლად, რომელშიაც განზრახულია კუკიის სასწავლებლის მოთავსება და წინადადება მიეცეს კომისიამ წარმოადგინოს თავის მოსაზრებანი ამ შენობის ვარგისიანობის შესახებ. კომისიაში შევლენ ქალაქის ტეხნიკები და სასწავლებელთა ექიმი.

—

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კავშირის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნას და მიეცეს მათ ბინა ვერის დაღმართზე № 10.

## პური საქართველოსთვის

საქართველოს მისსიამ იტალიაში პარიზის დელეგაციასთან შეთანხმებით მიმართა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მემორანდუმით, რომელითაც ითხოვა საქართველოსთვის სასურსათო დახმარება.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო რომში შეიკრიბა 21 და 22 ნოემბერს და იქონია მსჯელობა საერთოდ დახმარებაზე ძველი რუსეთის ყველა იმ ნაწილთათვის, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან ანარქიისაგან და სასურველად სცნო, რათა ყველა სახელმწიფომ, შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩინონ ამ ქვეყნების ეკონომიურად აღორძინების საქმეს. კერძოდ საქართველოს პურით დახმარების შესახებ უმაღლესი საბჭოს წევრები შეთანხმებულან, რომ იტალიის მთავრობა მიაწვდის საქართველოს პურს იმ ნაწილიდან, რომელსაც თვით თავის საჭიროებისათვის ღებულობს. იტალიის მთავრობას თანხმობა განუცხადებია მიაწოდოს პური საქართველოს ოდესიდან, საიდანაც თვითონ გააქვს ხორბალი.

## პატარა შენიშვნები.

### რუსეთის გარშემო.

რადიოთი მიღებული ცნობების თანახმად თუ გავაკეთებთ საერთო მიმოხილვას, უკანასკნელი კვირა უნდა ჩაითვალოს თათბირთა კვირათ.

თათბირობდნენ მოკავშირე სახელმწიფოები ლონდონში იმის შესახებ, თუ როგორი გამოსასვლელი გზა მოუნახონ ჩიხში მომწყვდეულ პარიზის საზავო კონფერენციას.

იგივე სახელმწიფოები და განსაკუთრებით კი, ინგლის საფრანგეთი არკვევდენ საკითხს რუსეთთან დამოკიდებულებისას, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო ყურადსაღებია.

დენიკინ-კოლჩაკმა ვერ გაამართლა მათი იმედები, ბოლო არ უჩანს სამოქალაქო ომს რუსეთში!.. მოკავშირე სახელმწიფოებიც შეშფოთებულნი არიან,—ვინაიდან, სანამ რუსეთი არ დაწყნარდება, ქვეყნად მშვიდობიანობა არ დამყარდებაო. თუ რადიოს ცნობა სინამდვილეს შეიცავს მოკავშირეებს კიდევაც აუღიათ ხელი დენიკინ-კოლჩაკის დახმარებაზე და დაუდგენიათ—ბალშევიკებს არც ზავით შეეკრან, მაგრამ არც ომი აწარმოონ მათთან.

ჩვენ არ ვიცით რამდენად მართალია ეს გადაწყვეტილება, არ ვიცით აგრეთვე რა გზას დაადგა ლონდონის თათბირი. მოკავშირეთა მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯებს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როგორც არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, ჩვენი ბედნიერება, თუ უბედურება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას იტყვიან ევროპის დიდი სახელმწიფოები, რას იტყვის ამერიკა და ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის მომენტი, როცა ისინი რუსეთის ხალხს ეხებიან, რას ამბობენ მაშინ—რუსეთთან აკავშირებენ ჩვენს საკითხს, თუ ცალკე მსჯელობის საგნად აქვთ გამხდარი. ეს იმიტომაა საინტერესო, რომ ჩვენს არსებობას, ჩვენს დამოუკიდებლობას რუსეთის ბატონობისთვის მებრძოლი ორი ძალა—ბალშევიკური და დენიკინ-კოლჩაკი ერთის თვალსაზრისით უცქერიან ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ ახალ რესპუბლიკებს და მათ შორის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასაც ბალშევიკები საბჭოთა რუსეთის ფარგლებში მოსათავსებლად მიერეკებიან. მართალია, თქვენ ძველად გტანჯავდათ დიდი რუსეთი თავის ფარგლებში, მაგრამ ეხლა ჩვენ სოციალიზმი უკვე განვახორციელეთ და სხვაგან წასვლა თქვენის მხრით კონტრ-რევოლიუციონერობა და მოღალატეობა არისო. დენიკინი კი გვეუბნება: როგორ გაბედეთ და დიდი რუსეთი დაარღვიეთ, მოვდივარ.—ფრთხილად იყავით, თორემ დაბადების დღეს დაგაწყევლინებთო.

ორივე შემთხვევაში სდგება დიდი რუსეთი, რომელიც არ მოითმენს პატარა სახელმწიფოებს, ანგარიშს არ გაუწევს პატარა ერთა მისწრაფებებს. ამიტომაა, რომ ჩვენი ხალხი ამბობს: სულ ერთია—გინდ მგელს შევუჭამივარ, გინდ მგლისფერ ტურასო. ამიტომ ადევნებს ხალხი თვალყურს მოკავშირეთა სახელმწიფოებს, ამიტომ ცდილობენ იმის გამოცნობა, თუ რა სახით მოგვევლინება ეს სახელმწიფოები—„მგლის“, „ტურის“, თუ სხვა სახით!

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ საკითხი ჩვენ სასარგებლოთ სწყდება, რასაც ხელს შეუწყობს ის გარემოება, თუ შინაურ საქმეებს მოვაგვარებთო, ვნახოთ.

რა ხდება ამ დროს რუსეთში? თითქოს დენიკინ-კოლჩაკს დაეტყო მოკავშირეთა მოსალოდნელი უარი დახმარებაზე—პირველი გამორბის სამხრეთისაკენ: სტოვებს კიდევ პოლტავა ხარკოვს და სხვა გამაგრებულ ადგილებს, მეორე კი—ე. ი. კოლჩაკი, გარბის აღმოსავლეთ-ციმბირისაკენ.

ხალხმა ვერ აიტანა დენიკინ-კოლჩაკის თვითმპყრობელური სული,—აი, რატომ მარცხდებიან ისინი.

ბალშევიკები დიდ მზადებაში არიან. უკრაინას ჰპირდებიან საბჭოთა უკრაინის შექმნას და შემდეგ ველიკოროსიასთან შეერთებას, ბაშკირეთში უკვე დაარსეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სადაც, როგორც ბოლშევიკების რადიო გვაუწყებდა, თურმე მთელი ბაშკირეთი დაიყო კანტონებათ, გამოდის გაზეთები ბაშკირულ ენაზე,—ერთი სიტყვით, ცხოვრება სდუღს.

ამავე დროს ბალშევიკები [illegible] მოლაპარაკებას აწარმოებენ ესტონეთთან. [illegible] ამის მაჩვენებელია, თითქოს დენიკინ-კოლჩაკის რეაქციის თავდაცვასთან ერთად ბოლშევიკები შემოქმედებით, აღმაშენებლობითი მუშაობასაც ეწევიან. უკრაინის გარშემო გამართული ბოლშევიკური აგიტაცია და მოლაპარაკება ესტონეთთან მხოლოდ იმ მიზნით არის დაწყებული, რომ დაამტკიცონ ბალშევიკებმა თუ როგორის ყურადღებით ეპყრობიან ისინი ეროვნული საკითხს, პატარა ერების უფლებებს. ჩვენ არაფერს ვიტყვით უკრაინაზე, და ბალშევიკებზე, სადაც ნიკოლოზის ჟანდარმის ქუდის ნაცვლად ლენინის საბჭოთა „ჩრეზვიჩაიკა“ იბატონებს, თუ იქ მართლა განმტკიცდა მოსკოვის „სოვდეპი“ გვაინტერესებს მხოლოდ ესტონეთთან მოლაპარაკება.

რა საფუძველზე შეიძლება მოლაპარაკება ბალშევიკ-ესტონეთს შორის? ჩვენ ვიცით, რომ ბალშევიკები არავისთან მოლაპარაკებას არ აწარმოებენ. მათი აზრით ქვეყნად მხოლოდ ბალშევიზმია ერთად-ერთი ძალა, რომელიც ხალხს დაღუპვისაგან დაიხსნის, სხვა ყველანი ხალხის მოღალატენი არიან. ბალშევიკებისათვის სულ ერთია—თვითმპყრობელობა, კონსტიტუცია, დემოკრატიული რესპუბლიკა—ყველა ესენი ბურჟუაზიული ჩპახვაა—ხალხის მოსატყუებლათ გამოგონილი. და ამ დროს ისინი საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ „თეთრ“ ესტონეთთან!...

რისთვის? თვალების ასახვევათ მხოლოდ. რომ მოლაპარაკებით, ტკბილი ენით მოხერხებულათ დამალონ ბალშევიკური შავი კბილები და გული, რომ პირველ შემთხვევისთანავე, თუ გინდ მოლაპარაკების დროს, ესტონეთს ზურგში მახვილი ჩასცენ.

და განა ამის გასამართლებელს საბუთს ვერ იშოვნიან? რამდენიმე გზა-აბნეული „ბალშევიკი“ ყოველ ქვეყანაში მოიპოვება, და თუ იქ არ აღმოჩნდება, ჩაათესლებენ ან ფულით მოისყიდონ.

აი ამისთვის ელაპარაკებიან ბოლშევიკები ესტონეთს. და ვაი იმ საბრალო ერს, რომელიც გაცნობილი არ არის საბჭოთა რუსეთის ხრიკებთან...

**შინაური.** *)

## ნინო ჩხეიძის იუბილეი

საყვარელი მსახიობი ნინო ჩხეიძის 25 წლის იუბილეი ბრწყინვალედ იდღესასწაულა დედაქალაქმა. ჯერ კიდევ 11-საათი არ იყო, რომ სახელმწიფო თეატრის კასას ზღვა ხალხი მოაწყდა. მაგრამ ბევრი უკმაყოფილო უკანვე დაბრუნდა, რადგანაც ყველა ბილეთები წინადღითვე გაყიდულიყო. $11^1/_2$-საათია, მაგრამ საზოგადოება თეატრში არ შედის, გაჰყურებს იმ ქუჩისკენ, საიდანაც ძვირფასი იუბილიარი უნდა მობრძანდეს. აა, გამოჩნდა კიდეც ყვავილებით მორთული ავტომობილი, ხალხის აღფრთოვანებას საზღვარი არა აქვს. ტაშსა და „გაუმარჯოს“ და „ვაშას“ ძახილს დასასრული არ უჩანს. თეატრი ხალხით გაიჭედა. მთავრობის ლოჟაში ბრძანდება: მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ჟორდანია, შინ. საქ. მ. ამხ. ჭიჭინაძე, განათლების მინისტ. ნოე ცინცაძე, არიან აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა საპატიო სტუმრები. $12^1/_2$-ს. აიხადო კოხტად მორთული სცენა. სცენაზე არიან საიუბილეიო კომიტეტის წევრნი, დამსახურებულნი მოღვაწენი და დელეგატები. კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბარათაშვილი ზეიმს გახსნილათ აცხადებს და თავის ვრცელ სიტყვაში ნათლად ახასიათებს იუბილიარის მოღვაწეობას. ათავებს სიტყვას. გუნდი გლეხის „მრავალ-ჟამიერს“ მღერის. ამ დროს დამსახურებულ მსახიობთ შემოჰყავთ სცენაზე საყვარელი იუბილიარი, რომელიც ღელავს, ლამაზს განცდას ცრემლებით აფრქვევს. პირველად ესალმება ბ. კ. ყიფიანი. შემდეგ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიის სახელით სიტყვას ამბობს ივ. გომართელი, თავისებური ენა-წყლიანობით და სილამაზით. ისმის ქვითინი... იუბილიარის სასიამოვნო გულის ტოკვა თან და თან მატულობს... შემდეგ ულოცავს ქალაქის გამგეობის წამომადგენელი, ქალაქთა კავშირის, პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელი, წ.-კითხვის საზ. წარმომადგენელი, სახელმწიფო თეატრის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“, „სახალხო

*) გაზ. „სახ. საქ.“-ს კვირის ნომერში მოთავსებულ შენიშვნის გამო, ჩვენც ვადასტურებთ, რომ ჩვენ გაზეთში მოთავსებული „პატარა შენიშვნები“ „შინაურის“ ფსევდონიმით „სახ. საქმის“ „შინაურს“ არ ეკუთვნის. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, ამ ფსევდონიმით ჩვენ გაზეთში წერილები აღარ დაიბეჭდება.

**რედ.**

„საქმის"; ჟურნ. „თეატრისა და ცხოვრების" და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი, წაკითხული იქნა აუარებელი დეპეშები. ბოლოს ულოცავს საბავშო თეატრის სახელით პატარა გოგონა, რომლის მოხდენილათ წაკითხულმა ლექსმა ტაშის გრიალი გამოიწვია. თავდება მილოცვები; სამადლობელ სიტყვას, ამბობს იუბილიარი, ფიცსა სდებს, რომ კვლავ განაგრძობს განახლებულის ენერგიით, რომ... მაგრამ ცრემლები უსწრებს... მგრძნობიარე გულის ნაზი სიმები ცელქობენ... ფარდა. მეორე განყოფილებაში შესრულებულ იქნა „აბესალომ და ეთერის" მეორე მოქმედება. $3\frac{1}{2}$ საათზე გათავდა დღესასწაული, მაგრამ საზოგადოება მაინც თეატრის ახლოს ფუსფუსებს, ელის თავის ნუცას გამოსვლას, უნდა კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი საყვარელ იუბილიარს. მობრძანდება, ისმის ქრიამული, ტაში, „გაუმარჯოს"—„ვაშა". საგანგებოთ მორთულ ავტომობილით კმაყოფილი სახით მიემგზავრება შინისკენ. საზოგადოება იშლება იმ იმედით, რომ საღამოს იხილავს იუბილიარს ზეინაბის როლში და დასტკბება ესთეტიური სიტკბოებით.

საღამოს გაცილებით კიდევ უფრო მეტი საზოგადოება დაესწრო. თეატრში ტევა არ იყო. წარმოდგენილი იქნა „უბედური ნაბიჯი" და ერთი მოქმედება „ლალატიდან". ბევრჯერ გვინახავს ნინო ჩხეიძე ზეინაბის როლში, მაგრამ ასე არ წარუტაცია, არ მოუჯადოებია ჩვენი ყურადღება. მაგრამ არა, ნინო ჩხეიძე ყოველთვის კარგი ზეინაბი იყო, მაგრამ, ალბათ, საიუბილეიო დღესასწაულის შთაბეჭდილების გამო მოგვეჩვენა ჩვენ ის უკეთეს ზეინაბად.

ნინო ჩხეიძის გენიალურმა, უკვდავმა ნიჭმა ერთხელ კიდევ განამტკიცა ქართველ საზოგადოების გულში მისდამი მხურვალე სიყვარული. საღამოს მიულოცა იუბილიარს დამსახურებულმა მსახიობმა შ. დადიანმა და მსახიობთა კავშირის წარმომადგენელმა. დასასრულ მგოსანმა ი. გრიშაშვილმა. და ცვარ-ნამმა ლექსით მიულოცეს იუბილიარს. ღამის 1 საათზე დაიშალა ნასიამოვნები საზოგადოება.

# დამფუძნებელი კრება

**დღეს, 23 დეკემბერს შესდგება დამფუძნებელი კრების მორიგი (73) სხდომა.**

**დღიური წესრიგი.**

საბოლოო ტექსტი საქართველოს სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა საშუალების გაძლიერებისა და დამსახურებულ მოღვაწეთა დახმარებისა.

მომხსენებელია ქრ. **შარაშიძის** ასული.

2) საბოლოო ტექსტი დეკრეტისა ყარაიაზის მამულის სარწყავი არხის შეკეთებისათვის 3,560,000 მან. გადადებისა და იმავე სისტემისათვის სათადარიგო-საამშენებლო 400,000 მან. თანხის დაარსების შესახებ.

მომხსენებელია ქრ. **შარაშიძის** ასული.

3) დეკრეტი სამოქალაქო უწყებათა სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მიმატების 1919 წ. მაისის 20-სა და აგვისტოს 2-ს დეკრეტების შეცვლისა განათლების უწყების ყოველი ტიპისა და საფეხურის სკოლის მასწავლებელთა შესახებ.

მომხსენებელნი არიან გრ. **ნათაძე** და ნიკ. **იმნაიშვილი.**

4). დეკრეტი ფოსტა-ტელეგრაფის კორესპოდენციის ნიხრის გადიდებისა.

მომხსენებელია ვიკ. **თევზაია.**

5) დეკრეტი საზღვარგარეთ სადიპლომატო საკონსულო დაწესებულებათა შესანახად და სხვა ხარჯთ-აღრიცხვისათვის გარეშე საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 22,600,000 მან. გადადებისა.

მომხსენებელია ვიკ. **თევზაია.**

6) პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა გასულ სახარჯ აღრიცხვო წლის დაუფარავი ხარჯების განაღდების შესახებ.

მომხსენებელია სვ. მდივანი.

7) დეკრეტი-სახიზანო რკინისგზის საპენსიო კომიტეტისათვის 4,200,000 მან. გადაცემისა.

მომხსენებელია გრ. **ურატაძე.**

8) დეკრეტი—სამხედრო საჭიროებისათვის 3,000,000 მან. გადადებისა.

მომხსენებელია სვ. **მდივანი.**

# ე რ ო ბ ა.

**სიმღერა-გალობის ინსტრუქტორის მოწვევა.**

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს მთელი მაზრის სკოლებში სიმღერა-გალობის სათანადოთ დასაყენებლად ინსტრუქტორი, რომელიც შემოივლის მაზრის უმთავრეს ცენტრებს, შეკრებს ხალხურ სიმღერებს, მოაწყობს მომღერალთა გუნდებს და წრეებს და აგრეთვე მისივე ჩვენებით ერობა დანიშნავს სკოლებში სიმღერა-გალობის მასწავლებლებს. გარდა ამისა გამგეობამ დაადგინა მოიწვიოს საერობო თემის სკოლებისათვის თითო თემზე სიმღერა-გალობის მასწავლებლები. მოწვეულია უკვე საგარეჯოსა და მარტყოფის თემებისთვის. ინსტრუქტორს ჯამაგირი ექნება 3000 მან. მეტი დღიური და მისვლა-მოსვლა ერობის ხარჯებზე. მასწავლებლებს 2000 მანეთზე მეტი.

**გადასახადების აკრეფა.**

ტფილისის მაზრის ერობის მდივანი ივანე კარგარეთელი გამგეობის დავალებით გაემგზავრა გარე კახეთის რაიონში გადასახადების აკრეფის მოსაწყობად და ამ საქმის სახელმძღვანელოდ.

**აგრ. ქურდიანის მოხსენების თეზისები.**

1) არსებული საგრონომიო დახმარება სოფლის ხალხის დამაკმაყოფილებელი ვერ არის, ერობებს თავიანთ ღონისძიებით არ შეუძლიათ მდგომარეობის გაუმჯობესება.

2) საქმის ხელმძღვანელობისათვის და ძალების შესაერთებლად აუცილებელი საჭიროა აგრონომიულ ცენტრის შექმნა, რომელიც ხელში აიღებს ინიციატივას, კანტროლს გაუწევს მუშაობას და იმუშავებს ერობების სასარგებლოდაც. (გავრცელება ლიტერატურის, ბრძოლა მეურნეობის მტრებთან, შეძენა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, თესლეულობის და სხვ.).

3) ცენტრი უნდა შეიქმნას ერობათა კავშირის კომიტეტთან—როგორც განყოფილება უკანასკნელის, უნდა ექნეს განყოფილებები პროვინციებში. საჭირო ხარჯებს ღებულობს თავისთავზე ერობათა კავშირის კომიტეტი.

საგრონომიო განყოფილება აკეთებს მოხსენებებს ერობათა ყრილობის უშუამავლოთ. მოხსენების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ერობათა კავშირის კომიტეტთან აუცილებლად უნდა დაარსდეს საგრონომიო განყოფილება სახელმძღვანელოთ დ შესაერთებლად საგრონომიო საქმეებისა, რომელიც ამავე დროს იწვევს აგრონომთა ყრილობას და გამოსცემს სასოფლო-სამეურნეო ჟურნალს. ყრილობა დასრულდა 19 დეკემბერს.

**ახალციხის ერობაში.**

7 დ 8 დეკემბერს შესდგა ახალციხის ერობის ხმოსანთა პირველი კრება. 33 ხმოსნიდან მონაწილეობდა 24. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივ. ალიხანოვი, ამხანაგად ხელაძე. მოხსენება გააკეთა გლეხთა დეპუტატების მუშაობის შესახებ ყაჰეიშვილმა. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მთავრობას, რათა გაიღოს მოკლე ვადიანი სესხი სურსათის შესაძენათ; აგრეთვე გამოიტანეს დადგენილება თანხის მთავრობისგან გამოთხოვის შესახებ დანგრეულ სკოლების და სხვა კულტურულ დაწესებულებათა შესაკეთებლად. გამგეობაში აირჩიეს: თავმჯდომარეთ მიქელაიშვილი, თავმჯდომარის ამხან. ჩიმაკაძე, წევრებათ ფახრი ბეგი, სულეიმანოვ ბეგ ზადე, ერისთავი და ხმალაძე. ამოირჩიეს კომისია მაზრაში ნაციონალურ საკითხის მოსაგვარებლად, რომელშიც შევიდენ ვხიმ შაქარ ოღლი, ალიხანოვი და ტერ გრიგორიანი.

# სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.

**სათამაშოების ფაბრიკის გახსნა ტფილისში.**

ინჟ. ბოგატინმა და ამხ. დაარსეს ტფილისში, სათამაშოების ფაბრიკა. თანახმად ბოგატინის თხოვნისა სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტმა სათანადო შუამდგომლობა აღძრა, რათა მას მიეცეს უფლება სათამაშოების გატანისა უცხოეთში.

**კანონ-პროექტი სამთომადნო მრეწველობის შესახებ.**

პალატის კომიტეტი სპეციალისტთა მონაწილეობით შეუდგა კანონ-პროექტის განხილვას სამთო-მადნო მრეწველობის შესახებ.

**ავჭალის მინის ქარხანა.**

ავჭალის მინის ქარხანამ გამოიწერა რუსეთიდან 65 სპეციალისტი მუშა და მუშაობა განაახლა, მაგრამ მალე 30 მუშა ბაქოში გადავიდა, დანარჩენი მუშებიც აპირობენ წასვლას. სავაჭრო-პალატის კომიტეტმა სთხოვა შრომის მინისტრს სათანადო ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩერდება მინის ქარხანა საქართველოში.

# ნაფიც ვექილთა საერთო კრების მოწვევა

1920 წელს 7 თებერვალს ქ. ტფილისში სასამართლო დაწესებულებათა შენობაში დანიშნულია ნაფიც ვექილთა საერთო კრება.

ტფილისის სასამართლო პალატის წევრი გ. ზ. ჩაჩიბაია აცნობებს ტფილისის, ქუთაისის და სოხუმის საოლქო სასამართლოების ოლქში მცხოვრებ ნაფიც ვექილებს, რომ აღნიშნულ პალატის დეპარტამენტების საზოგადო კრების 1919 წ. 6 დეკემბრის დადგენილებით მინდობილი აქვს მას ნაფიც ვექილების საერთო კრების მოწვევა საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭოს ასარჩევად და თანახმად 358 მუხ. სას. დაწ. წესდ. კრების თავმჯდომარეობა.

ნაფიცმა ვექილებმა არა ქართველებმა აუცილებლად უნდა წარმოუდგინონ 20 იანვრამდე 1920 წ. ტფილისის სასამართლო პალატის მისამართით, მას, ჩაჩიბაიას, საქართველოს ქვეშევრდომობის დასამტკიცებელი საბუთები.

# წ.-კ. საზოგადოებაში.

**ნ. ჩხეიძეს.**

წ. კ. საზოგადოებამ ათასი მანეთი მიართვა ნინო ჩხეიძეს იუბილეის აღსანიშნავად.

**დახმარება სამკითხველოს.**

ს. სიმონეთის ბიბლიოთეკა—სამკითხველოს წ. კ. საზოგადოებამ აღმოჩინა დახმარება წიგნებით და მწერლების სურათებით.

**ვალის გადაუხდელობა.**

საზოგადოების ვექილს კ. ნინიძეს გამგეობამ მინდაო გამოარკვიოს რა მიზეზის გამო არ აკმაყოფილებს სამტრედიის ქალაქის თვითმართველობა საზოგადოების მოთხოვნილებას და არ იხდის წიგნების ვალს, რომელიც დიდი ხანია მათზე ითვლება.

**დახმარება.**

წ. კ. საზოგადოების შკოლის ს. წინარეხის (გორის მაზრა) დამსახურებულ მასწავლებელს ვარლამ გიუნაშვილს გამგეობამ 1600 მანეთი ერთდროული დახმარება მისცა.

# ბათუმის ამბები.

✦ ამ დღეებში სტამბულიდან ბათუმში მოიტანეს 200 ტონ. პურის ფქვილს, რომელიც ქალაქის თვითმართველობას გადეცემა.

✦ 16 დეკემბერს ბათუმის შრომის ბირჟაში ჩაეწერა 18 უმუშევარი. მათ შორის 9 ქალი. სულ 16 დეკემბრამდე ბირჟაში ჩაწერილა 3340 უმუშევარი, სამუშევარზე გაუგზავნიათ 1100 კაცი.

✦ ბათუმში ტუაპსედან მოვიდა რუს. გემი „დეინიტი", რომელიც უკვე გაბრუნდა ნოვოროსისკში სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

აგრეთვე ბათუმში მოვიდა რუს. მატორიანი ნავი „სოგლასიე" და „ექსპრესი".

✦ ბათუმის ბაზარზე ქაღალდის ფრანკი ფასობს 37 მან., იტალ. ლირა 35 მან., ოსმალური—400 მან., ინგლის. გირვან.—1425 მან., ოქროს ინგლის. გირვან.—1450 მან., რუსული ათ მანეთიანი—1450 მან., ხუთ მანეთიანი—725 მან., ოსმალ. ლირა—1300 მანეთი.

✦ გენერალ მილნიმ დაამტკიცა ინგლისის სამხედრო საველე სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალითაც ქუთაისელ ვაჭარ ნარსიას და მისი შეგირდის გაძარცვის და მოკვლის გამო, სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი მიქელაიშვილს და ჯინჭარაძეს. 15 დეკემბერს განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი.

✦ ინგლისის მთავრობამ ქალაქის თვითმართველობას გადასცა 4000 ფუთი პურის ფქვილი, რომელიც ქალაქის მცხოვრებთ ეყოფა სამს დღეს.

ამ დღეებში კიდევ მოელიან პურის ფქვილს საზღვარგარეთიდან.

✦ ინგლისის სამხედრო სასამართლომ ერთი წლის ციხე მიუსაჯა ქურდობისათვის სერ. ივანოვს და ორ-ორი წლის—აგ. პეტროსოვს და ევსტაფი ჩეხოვიჩს.

✦ ვაჭარ დიმიტრიადის მაღაზიიდან ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 1000000 მანეთად. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

✦ 13 დეკემბერს, დილის 10 საათზე ოქროულობის მაღაზიიდან (მიხაილოვის ქ. № 5) ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 50 ცალი ოქროს საათი.

✦ 15 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე ალი-ოღლის ბინიდან (შერემეტევის ქ. № 59). ბოროტ მოქმედებმა მოიპარეს სხვა და სხვა ნივთები ღირებული 50000 მანეთად.

✦ 15 დეკემბერს ბათუმიდან სტამბოლისაკენ წავიდა იტალიის გემი «ფრანც ფერდინანდი» სხვა და სხვა საქონლით დატვირთული.

✦ 14 დეკემბერს სტამბულიდან ბათუმში მოვიდა იტალიის გემი „ალტო".

# უცხოეთი

**(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)**

**გერმანული პრესა.**

კოპენჰაგენში მყოფმა უკრაინის მისიის თავმჯდომარემ დმიტრო ლევიცკიმ მიიღო გეორგ ბრანდესიდან წერილი, რომელშიაც იგი უკრაინისადმი თავის სიმპატიას გამოსთქვამს. „მე ვგრძნობ აუცილებელ მოთხოვნილებას—ნათქვამია წერილში—გამოვსთქვა იგი თუ რამდენათ მხურვალეა ჩემი სიმპატიები უკრაინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისადმი. რუსეთმა და მოკავშირეებმა უკრაინისადმი გამოიჩინეს საშინელი უსამართლობა. სამარცხვინოა, როდესაც კულტურული ევროპა მხარს უჭერს ისეთ ბარბაროსს, როგორც დენიკინია, მაგრამ უფრო სამარცხვინოა შენ პროგრამაში ყველა ერების განთავისუფლება და თვით გამორკვევა შეიტანო, და რა თქმა უნდა უკრაინის თვით გამორკვევაც, და შემდეგ კირეაქციის გაბატონებისათვის იბრძოლო. მე ჩემს პირად მოვალეობათ ვსთვლი უკრაინისადმი ჩემი გულწრფელი და ღრმა პატივისცემა გამოვსთქვა".

გაზ. „მანჩესტერ გუარდიანი" 5 დეკემბერი. სწერს: „ბოლშევიზმის" იარაღით მოსპობა ყოვლად შეუძლებელია. არა ერთი სახელმწიფოა მატერიალურათ ბრძოლაში. რუსეთი ეს ხალხთა კონგლომერატია: ყოველი მათგანი მიილტვის დამოუკიდებლობისა, ან ფართო ავტონომიისაკენ. რომ ეს მოთხოვნილებანი მიიღონ და მათი საზღვრების გამორკვევას შეუდგენ,—ამით საშუალებას მისცემენ მათ მტკიცე სახელმწიფოებრივი ერთეულები შექმნან და ურთი-ერთ შორის ეკონომიური დამოკიდებულება იქონიონ. ავსტრია უნგრეთის დანაწილება უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ ამგვარ გამოსავლას ყურადღება არ მიაქციეს.

მიუხედავათ ძლიერ აგიტაციისა შეერთებულმა შტატებმა არ გააუქმეს სპირტიან სასმელების შესახებ გამოცემული აკრძალვა და 60 მილიონ გალონამდის დამზადებული ვისკი ევროპაში უნდა გაიგზავნოს.

დეშანელი თითქმის ერთხმად არის ამორჩეული საფრანგეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეთ.

პარიზში დაარსდა მუშათა პარტია, რომელიც ლეგალურათ დაიცავს მუშათა ეკონომიურ ინტერესებს. პარტიის დამაარსებლათ ითვლებიან სოციალისტების მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები, რომლებიც პალატის არჩევნების დროს შეერთებული სოციალისტებს გამოეყვენ; მათ შორის არის როზიე და ბრუნე.

გაზეთების ცნობით საზავო ხელშეკრულება 1 იანვრიდან საბოლოოთ შევა ძალაში და ამით ხალხთა ლიგაც ავტომატიურად თავის მოქმედებას დაიწყებს. ამ შემთხვევაში ლიგის საბჭო 7 ან 8 იანვარს შეიკრიბება პარიზში.

ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ერთ კვირაზე მეტია, რაც საშინელი ღელვაა. კაბელი გაწყვეტილია. ზღვაზე მგზავრობა მეტად გაძნელებულია 100 გემზე მეტმა დაიგვიანა 5-დან 10 დღემდე ნიუიორკში მისვლა. 15 ამ გემთაგანზე თითქმის 20000 დე მგზავრი იქნება.

„ფრაიგარტის" ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა დ-რ ნესტრიპკემ ღია, დასაბუთებულ წერილში დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატების პარტიიდან თავის გამოსვლა ახსნა ლაიპციგის პარტეიტაგზე დამოუკიდებელთა მიერ მიღებულ რეზოლიუციების გამო. დ-რ ნესტრიპკე აცხადებს, რომ იგი არავის დიქტატურას არა სცნობს... (გამოტოვებულია) მომავალი სოციალისტური მთავრობა უნდა ხელმძღვანელობდეს უმეტესობის სურვილებით... (გამოტოვებულია)... როგორც კაუცკი და შტრებელი. დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები მათ ძალიან ცივათ ეპყრობიან. პარტიაში გამეფებული მიმართულება, ნესტრიპკეს აზრით, არავითარ ნაყოფიერ შედეგს არ მოიტანს.

1 დეკემბერს ნახშირის შესახებ გერმანიის მიერ დადებულ ხელშეკრულების ძალაში შესვლას გერმანიის პრესა უცქერის—ნამდვილ შერიგებათ და ეკონომიურ ზავის ჩამოსაგდებ საშუალებათ გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიას შორის.

ბერლინის სასტუმროების, კაფეების და საკანდიტეროების საპროტესტო გაფიცვა გარ-

თულდა მით, რომ მათ მხარი დაუჭირეს ქალაქის მიდამოების სასტუმროების პატრონებმაც. გაფიცვა ცუდ გავლენას ახდენს 250000 კლიენტის ინტერესებზე, რომელთაგანაც 200 ათასი უცხოელია. მრავალი პირი, რომელნიც ბერლინში ვერ მოეწყვნენ პოსტდამში გაემგზავრენ. ზოგნი უფრო შორს წავიდენ, ოღონდ კი სურსათ-სანოვაგე ეშოვნათ. ფიქრობენ, რომ შაბათს ყველა ეს დაწესებულებანი გაიხსნებიან.

მადრიდიდან იტყობინებიან, რომ ისპანიაში ანარქისტული გამოსვლები გრძელდებაო. მადრიდი მკვდარ ქალაქს დაემზგავსა. ვაჭრობა შეჩერდა. ქუჩაზე არც ქვეითი დ არც ეტლით მიმავალი არა სჩანს. დადიან მხოლოდ ჯარის ნაწილები. მუშათა რაიონებში სერიოზული შეტაკებებია; ბევრია დაჭრილი და დახოცილი. გამოდის მარტო სოციალისტური გაზეთები, რომლებიც ამბობენ, რომ მონარქია ალფონს მე-13 მეთაურობით მალე მოისპობა. ახალი კაბინეტის შედგენა დიდ დაბრკოლებას ხვდება იმის გამო, რომ სახელმწიფოს საქმეების მცოდნე პირები, რომელთაც ასეთ მძიმე მდგომარეობაში წინამძღოლობა იკისრონ, ძალიან ცოტანი არიან.

მელითონეთა კავშირის გამბურგის განყოფილების კომიტეტმა, რომელთა თავმჯდომარე ამას წინეთ დამოუკიდებელთა შტუტგარტის საერთო ყრილობაზე იყო, გადასწყვიტა უარყოს დამოუკიდებელთა ყველა უკიდურესი წინადადებანი. გამბურგის განყოფილება აირჩევს სრულიად ახალ კომიტეტს. ეს მოვლენა "ფორვერტს" დამოუკიდებელთა დამარცხებათ მიაჩნია.

პოლონეთის ახალი მინისტრი სტანისლავ პაშევი თავის მოვალეობათა ასრულებას შეუდგა. ამბობენ, იგი ერთი კვირით პარიზსა და ლონდონში წავაო.

პრაგის უნივერსიტეტის პროფესორი კროფტი ვატიკანთან ჩეხო სლოვაკიის ელჩათ დაინიშნა.

ინგლისელი ავიატორი სერ ჯორჯ ალკოკი, რომელიც ივლისში ატლანტიკის ოკეანეზე გადაფრინდა, ლონდონიდან პარიზში გადაფრენის დროს დაიღუპა. იგი ჩამოვარდა რუანიდან 30 კილომეტრის დაშორებით. ნისლის გამო იგი დაბალზე ფრენდა. მფრინავი გარდაიცვალა რუანის საავათმყოფოში.

გერმანიის საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის დამაჩქარებელი კომისია საფრანგეთისკენ გაემგზავრა. კომისიის ორი წევრი მაიორი ფონ მიხაელისი და მაიორი ფონგეტიხერი უკვე პარიზში არიან. მოკავშირეთა ექსპერტებთან ერთად მათ უნდა მოაწყონ გერმანიის ტერიტორიაზე ჯარების გადაყვანა და ევაკუაცია. დანარჩენი წევრები კომისიებისა, რომელსაც ფონ-სიმსონი თავმჯდომარეობს პარიზში კვირას ჩამოვლენ.

# სენატში

**საქართველოს სენატის სისხლის სამართლის დეპარტამენტში 25 დეკემბერს დანიშნულია მოსასმენად შემდეგი საქმეები:**

1. საქმე № 73. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ პეტრე ბენიათის ძის ანანიანცისა და იუზეფა კოზეისა ტფილისის სასამართლო პალატის განაჩენზე. ბრალდებათ დანაშაული გათვალისწინებული 13 და 1524 მუხ. სასჯ. დებ.

2. საქმე № 89. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ გერონტი კანდელაკის, გრიგოლ გაბრიჭიძის და გიორგი ნემსაძის დამცველის—ნაფიც ვექილის გრიგოლ ერმალოს ძის ლორძისა ქუთაისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებათ დანაშაული აღნიშნული სასჯ. დებ. 1630 და 1632 მ. მ.

3. საქმე № 90. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ ისიდორე დავითულიანის, ვასილ ქართველიშვილის და აკაკი გაბეჩავასი, ქუთაისის საგანგებო სასამართლოს განაჩენზე, ბრალდებათ დანაშაული გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1629 და 1632 მ. მ.

4 საქმე № 87. საკასაციო საჩივარი ბრალდებულთ დიმიტრი, კოლა და გიგო ირემაშვილები სანდრო მამულაშვილის და ივანე (ვასილ) მუზიშვილის დამცველის ნაფ. ვექ. ბარათაშვილისა ტფილისის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1629 და 1632 მ. მ.

5. საქმე № 1. სახალხო გვარდიელების ნეფარიძის, ფაფალაშვილის, წოვიანოვის, დვალის, ი. დვალის, სარიბეგოვის, ოგანეზოვის, ენიკოლოპოვის, დონაძის და ჩხიკვაძის საკასაციო საჩივარი. ბრალდებათ დანაშაული გათვალისწინებული 13 მუხ. სისხ. სამ. წესდ. და სამხ. კრებულის წესდ. 160 მუხ. 1 და 2 ნაწ.

6. საქმე № 94. საკასაციო საჩივრები ბრალდებულთ ივანე გელეიშვილის და გეიდარ ალი ოღლის დამცველის ნაფ. ვექ. ყორღანოვისა, ტფილისის დროებით საგანგებო სასამართლოს განაჩენზე. ბრალდებათ დანაშაული, გათვალისწინებული სასჯ. დებ. 1629 და 1632 მ. მ.

# რკინის გზაზე

21 დეკემბერს, სტამბოლიდან ტფილისში ჩამოვიდა ინგლისის გენერალი რიკფორტი შტაბით და იმ საღამოთივე გაემგზავრა ბათუმში.

—

21 დეკემბერს ტფილისიდან ბაქოში წავიდა გზ. სამ. დეპ. დირექტორი ინჟ. ვ. ა. ჭიჭინაძე კომისიით ნავთის გადატანის საკითხის მოსაგვარებლათ. ამავე მატარებლით წავიდა ინგლისის გენერალი რიკფორტი, რომელიც სპეციალურათ გამოგზავნილია ამ საკითხის გამოსარკვევათ.

—

21 დეკემბერს ტფილისიდან ბაქოში გაიგზავნა 55 ცისტერნი ნავთისთვის. ბათუმიდან მოდის მატარებელი შაქრით ტფილისისთვის.

—

ვაგაბოვის ფირმა გზანის ბათუმიდან ტფილისში 53 ვაგ. შაქარის ფხვნილს.

—

20 დეკემბერს სომხეთიდან ტფილისში ჩამოვიდენ სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარე სააკიანცი, სომხეთის გზათა დირექტორი ინჟ. არღუთინსკი და სამმართველოს კანცელარიის გამგე მადატოვი.

# მსახიობის დღისთვის

**(პროვინციაში მომუშავე ქართველ მსახიობთა საყურადღებოდ).**

ამა წლის 3 ივნისის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად 2 იანვარს, 1920 წელს, მთელს საქართველოში გაიმართება „მსახიობის დღე“.

10 დეკემბერს მოწვეულმა თათბირმა, რომელსაც დაესწრენ ტფილისში არსებული ყველა დრამატიული წრისა და კულტურული დაწესებულებების წარმომადგენელნი, გამოიმუშავა შემდეგი პროექტი:

1) შეძლების დაგვარად ყველა ადგილობრივ თეატრებში და განაპირა უბნის მუშათა კლუბებში გაიმართება სადღესასწაულო საღამო—წარმოდგენები, რომლის მთელი შემოსავალი გადაეცემა მსახიობთა კავშირს;

2) უნდა გავრცელდეს დამსახურებულ მსახიობთა სურათები;

3) მთელს საქართველოში დაიგზავნება გასავრცელებლათ ამ დღისთვის საგანგებოდ გამოცემული გაზეთი „მსახიობის დღე“;

4) ტფილისიდან ბათუმში შევა საგანგებო ვაგონი სადღესასწაულოთ მორთული და ეროვნული დროშით შემკული.

პროვინციაში მყოფ მსახიობებს ევალებათ ფართო ხასიათი მისცენ ამ დღესასწაულს, დაიხმარონ ყველა ადგილობრივი კულტურული ძალები, რომ მართლაც და ღირსეულად ჩატარდეს ეს დღე. შესაფერი მუშაობა უკვე სწარმოებს. პროვინციელმა მსახიობებმა ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ მსახიობთა კავშირს ტფილისში, სადაც მუშაობს „მსახიობის დღის“ მომწყობი მთავარი კომიტეტი.

ქართველ მსახიობთა კავშირის **საბჭო.**

2 იანვარს, 1920 წელს ქართველ მსახიობთა კავშირი ბ-ნ შალვა დადიანის რედაქტორობით გამოსცემს სადღესასწაულო გაზეთს „მსახიობთა დღე“-ს. საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს 25 დეკემბრამდე, მსახიობთა კავშირის ბინაზე (დამფუძნებელი კრების ქუჩა, № 5).) ბ-ნ შალვა დადიანის სახელზე.

# წესდება

**საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა.**

§ 45. საბჭოს და გამგეობის შეერთებულ კრებულს უფლება აქვს შეადგინოს ბანკთან კრედიტის გამხსნელი (უჩოტნი) კომიტეტი იმ პირებისაგან, რომლებსაც იცნობს ეს კრებული და რომელნიც არ შედიან მის შემადგენლობაში. კრედიტის გამხსნელ კომიტეტს ევალება ბანკის კლიენტთათვის სავექსილო კრედიტის გახსნა, ბანკის მიერ საქონლის, პაებით, ობლიგაციების და სარგებლიან ქაღალდების გირავნობით გასაცემ სესხის რაოდენობის გადაწყვეტა და გარჩევა სადისკონტოთ წარდგენილ ვექსილებისა.

§ 46. თავმჯდომარეს ან უფლება მინიჭებულ საბჭოს წევრთ შეუძლიანთ დაესწრონ გამგეობის სხდომებს. გამგეობის წევრნი კი ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა საბჭოს სხდომებზე ამ უკანასკნელის ცალკე მოთხოვნით.

§ 47. წევრნი საბჭოსი და გამგეობისა, აგრეთვე ბანკის ყველა მოსამსახურენი ვალდებულნი არიან საიდუმლოება დაიცვან ბანკისადმი ჩაბარებულ საქმეების და ანგარიშების შესახებ.

§ 48. ბანკს აქვს ბეჭედი წარწერით: „საქართველოს კოოპერატიული ბანკი“.

**4. აქციონერთა საზოგადო კრება.**

§ 49. ყოველ კოოპერატიულ დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. აქციების პატრონთაგან არ მოითხოვება აქციების წარდგენა, მაგრამ კრებაზე კი დაიშვებიან მათგან მხოლოთ ისინი, რომელთა სახელზედაც გადაწერილია აქციები ბანკის დავთრებში, არა ადრე ორი კვირისა საზოგადო კრებამდე.

§ 50. ბანკის აქციონერთ შეუძლიანთ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, თომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება იქონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ, ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარედგინოს გამგეობას სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე.

§ 51. ყოველ საზოგადო კრების წინ სდგება სია აქციონერთა, რომელთაც საზოგადო კრებაზე ხმის უფლება აქვთ, და დაწესებულებების წარმომადგენელთა, რომელთა გვარებიც ეცნობება გამგეობას კრებამდე ათი დღით წინ. ეს სია უნდა დაიბეჭდოს და გამოიკიდოს გამგეობის სადგომში ოთხი დღის წინ საზოგადო კრებამდე. აღნიშნული სიის პირი ეძლევა ყოველ აქციონერს მისი მოთხოვნისამებრ. წარმომადგენელთა სიას ემატება გვარები იმ პირებისა, რომლებიც წარადგენენ თვით კრებამდე დაწესებულებათაგან რწმუნებას.

§ 52. საზოგადო კრებები არის ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი. პირველი სდგება ყოველწლიურათ, არა უგვიანეს აპრილისა, ხოლო მეორე—ინიშნება ბანკის გამგეობის მიერ საჭიროებისამებრ ან საბჭოსი და სარევიზიო კომისიის მოთხოვნით, ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ მოთხოვნისა, განსახილველათ განსაკუთრებულ საქმეებისა, რომლებიც მოითხოვენ სასწრაფო გადაწყვეტას.

**შენიშვნა:** თუ აქციონერნი, რომელთაც ეკუთვნიან ძირითადი თანხის არა ნაკლებ ერთი მეოცედი ნაწილი, განაცხადებენ სურვილს საზოგადო კრების მოწვევის შესახებ, მხოლოთ ამასთანავე სისწორით აღნიშნავენ იმ საგნებს, რომლებიც განხილული უნდა იქმნეს საზოგადო კრებაზე, გამგეობა ვალდებულია აასრულოს ეს მოთხოვნა ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების შეტანისა.

§ 53. საზოგადო კრებას გამგეობა იწვევს, გამოცხადებით მთავრობის ოფიციალურ და კოოპერატიულ ორგანოში და ადგილობრივ გაზეთში საზოგადო კრებამდე, ერთი თვით ადრე. განცხადებაში უნდა იყო აღნიშნული.

ა) დღე და საათი, რომელზედაც უნდა გაიხსნას საზოგადო კრება,

ბ) შეხობა, სადაც უნდა შესდგეს კრება და

გ) დაწვრილებითი აღნუსხვა კითხვებისა, რომლებიც უნდა განიხილოს საზოგადო კრებამ.

გამგეობის მოხსენებანი განსახილველ საგნების შესახებ უნდა დაიზადდეს რაოდენობით საკმაო ეგზემპლიარი და აქციონერთ უნდა მიეცეთ საშუალება გაეცნონ მოხსენებებს კრებამდე შვიდი დღით ადრე მაინც.

**შენიშვნა:** პუბლიკაციის გარდა აქციების პატრონნი მოიწვევიან საზოგადო კრებაზე უწყებებით, რომლებიც ეგზავნებათ ამ პარაგრაფში აღნიშნულ ვადამდე ფოსტის დაკვეთილ წერილებით, იმ მისამართით, რომლებიც აღნიშნულ იქნებიან გამგეობის წიგნში.

§ 54. საზოგადო კრება ჩაითვლება კანონიერათ თუ მას დაესწრებიან აქციონერნი ან მათი რწმუნებულნი მფლობელნი არა ნაკლებ ყველა გამოშვებულ აქციების ერთი მეხუთედი ნაწილისა; ისეთ საკითხების გადასაწყვეტათ, როგორიც არის გადიდება ან შემცირება ძირითად თანხისა, წესდების შეცვლა და ლიკვიდაციის მოხდენა, როცა ამის სავალდებულო მიზეზი არ არის, საჭიროა დასწრება მეპატრონეთ იმდენ აქციებისა, რომლებიც წარმოადგენენ არა ნაკლებ ნახევარს ძირითად თანხისას.


განცხადებანი

# გორის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა

„ხორბლის“ გამგეობა აცხადებს, რომ მომავალ 1920 წელსა, იანვრის 25-ს, დილის 11 საათზედ დანიშნულია ამხანაგობის წევრთა მორიგი საზოგადო კრება, მწარმოებელ კოოპერატივთა საგამასალებელო კავშირის ბინაზედ (მოსკოვის ქ. № 4) შემდეგი საგნების განსახილველათ:

1. განხილვა 1919 წლის ანგარიშისა და მისი დამტკიცება.
2. განხილვა 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის და მისი დამტკიცება.
3. მოხსენება სესხის აღებაზედ.
4. მოხსენება უძრავ მოძრავ ქონების გაყიდვა-დაგირავებაზედ.
5. თანამდებობის პირთა არჩევანი. 432

# იყიდება

წასაღები ახალი ხის პავილიონი, აშენებული რუსთაველის პროსპექტის პირათ სახელმწიფო თეატრის ბაღში. ფასის გაგება შეიძლება სახელმწიფო თეატრის კანტორაში, უქმის გარდა, ყოველ დღე 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდი. 243 3—3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში პრუსიაკ გრიგოლ ბაბალოვის ასულმა შეინგარდისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი სერგეი ვიქტორის ძე შეინგარდი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1914 წელს, უკვალოდ დაიკარგა 1916 წ., რის გამო აღნიშნული პრუსიაკ გრიგოლ ბაბალოვის ასული შეინგარდისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ სერგეი ვიკტორის ძე შეინგერდის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა 2 თვის განმავლობაში. 412 3—3

ტფილისის მე-16 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იბარებს გარდაცვალებულ თაქუივართანას ასულს პეტროსიანცის მემკვიდრეებს წარმოსადგენათ თავიანთ უფლებებისა ვადაზედ თანახმად 1241 მუხ. ძალ. 1 ნაწ. მეათე ტ. კრებ. სამოქ. საქ. გამოც. 1887 წ. 295 3—3

სარქისა ნიკოლოზის-ძე ახშარუმოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 13869, აღებული ამა წლის ივლისის 27 მილიციის სამმართველოდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 405 3—3

მარდკო ზელიკოვის ძე შტეინგელი (სამხედრო ჩინოვნიკი) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა, სამხედრო უფროსის კანცელარიიდან, ამა წლის ივნისის 22, აღებული მოწმობა № 10123. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს, 407 3—3

ვასილი ანტონის ძე პაატოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების და ორი მეტრიკული მოწმობა, შვილების (გიორგი და ალექსანდრესი) მოწმობები და პასპორტი გაუქმებულად ჩაითვლება. 400 3—3

იოსებ მოსეს ძე აფშილავა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ლეძაძამის ერობის გამგეობიდან 1919 წ. ოქტ. 13, № 518. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 406 3—2

დაკარგულია კვიტანცია ლევან არუთინოვის სახელზე საქ. რკ. გზ. სხვა და სხვ. გადასახ. შესახებ. 1919 წ. 29 სექტემბერს მიღებული. კვიტანცია გაუქმებულათ ითვლება. 413 3—3

დაკარგულია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის კვიტანცია № 87190, 700 მანეთის. კვიტანცია გაუქმებულად ჩაითვლება. 411 3—3

ვლადიმერ პეტრეს ძე ბუაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ხონის კომისარიატიდან აღებული პასპორტი № 1889, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 403 3—3

ალექსანდრე ავალიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მილიციის სამმართველოდან აღებული პირადობის მოწმობა № 543, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 401 3—2